ეთიოპია - ტერორიზმთან და ამბოხთან ბრძოლის თავისებურებები

GCSD TRC

თბილისი 2020

საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი (GCSD) არასამეწარმეო, არასამთავრობო ორგანიზაციაა. ჩვენი ძირითად მიზნებია: საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა; ქვეყნის ეფექტიანი და დემოკრატიული მართვის პრინციპების განმტკიცება და ქვეყნის მდგრადი განვითარების პირობების შექმნა. მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენი საქმიანობა მოიცავს: კვლევას, მონიტორინგს, ადვოკატირებასა და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას. ჩვენი ღირებულებები ეფუძნება თანასწორობის, ადამიანის თავისუფლების, პატივისცემის, ანგარიშვალდებულების და გამჭირვალობის პრინციპებს.

საქართველოს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრთან არსებული ტერორიზმის კვლევის ცენტრი არის პირველი ქართული ორგანიზაცია, რომლის მიზანია ტერორიზმის, რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის კვლევა და ამ ფენომენებთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში არსებული ცოდნის ნაკლებობის შევსება. ცენტრი საკუთარ მისიად მოიაზრებს შექმნას იმ ტიპის პროდუქტები, რომელიც სამომავლოდ საქართველოში ხსენებული საკითხების უფრო სიღრმისეულ კვლევას შეუწყობს ხელს, ასევე დაეხმარება ამ საკითხების მოქმედ მკვლევარებსა და ამ მიმართულებით მომუშავე პრაქტიკოსებს.

ავტორი: ივლიანე ძნელაძე
კვლევის ხელმძღვანელი: მარიამ თოხაძე
რედაქტორები: ქეთევან სართანია, გიორგი გოგუაძე
დოკუმენტის დიზაინი: თამუნა არბოლიშვილი

წინამდებარე კვლევაში გამოხატული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ გამოხატავდეს საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის პოზიციას. ცენტრის წერილობითი თანხმობის გარეშე დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

შესავალი

ეთიოპია ატიპიური აფრიკული ქვეყანაა, რომელსაც განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია. ხშირად, მას ახლო აღმოსავლეთისა და აზიის სხვადასხვა ქვეყნებს ადარებენ. რეგიონალური თვალსაზრისით, ეთიოპიის ანალოგი აფრიკის კონტინენტზე არ მოიძებნება, ხოლო მისი სოციო-კულტურული გარემო მსოფლიოში ერთ-ერთი უნიკალურია.

ეთიოპიის ისტორიის სისხლიანი ფურცლები პოლიტიკურ ნიადაგზე გაჩენილ ეთნო-რელიგიურ კონფლიქტებს ასახავს. ისტორიული რეტროსპექტივიდან გამომდინარე, ეთიოპიაში, დღესაც ბევრი რამ უცვლელი რჩება. ქვეყანაში სახიფათო ნიშნულამდე აიწია კორუფციამ, ავტორიტატული მმართველობა რეჟიმის შენარჩუნებას ახერხებს, კლასობრივი მარგინალიზაცია მაღალია, საარსებო რესურსებისადმი წდომა დიდი ნაწილისთვის პრობლემებთან არის დაკავშირებული. ყოველივე ეს განასახიერებს ეთიოპიის უკანასკნელ ისტორიას, ერთი საუკუნის განმავლობაში დაგროვილ საგარეო და შიდა არასტაბილურობის შედეგად აღმოცენებულ ქვეყნის თანამედროვე ავტოპორტრეტს.

ქვეყანაში ოთხმოცზე მეტი ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობს. მათ ერთმანეთთან ხანგძლივი თანაცხოვრების ისტორია აკავშირებთ. ეთიოპიის თანამედროვე სურათს განსაზღვრავს ორი ძირითადი მახასიათებელი: ეთიოპიელ ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის არსებული ურთიერთობები და მოქმედი საგარეო მხარდაჭერის პროგრამების ზეგავლენა ქვეყნის განვითარებაზე. საგარეო და რეგიონალური პერსპექტივიდან დანახული ეთიოპია სამკაოდ კომპლექსურია იმის აღსაქმელად, თუ რამდენი გლობალური მოვლენა შეიძლება ახდენდეს გავლენას მის არსებობაზე მსოფლიოს ერთ-ერთ რთულ და დაძაბულ რეგიონში. ეთიოპია დღეს მრავალი გამოწვევის წინაშე დგას, რომლებიც რეგიონში სეპარატიზმს, შეიარაღებულ ამბოხებას და ტერორიზმს აღვივებენ.

მსოფლიო რუკაზე ერთი შეხედვითაც ადვილი დასანახია, თუ როგორ გეოგრაფიულ და გეოპოლიტიკურ სივრცეში იმყოფება ეთიოპიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკა. მას პირდაპირი საზღვარი რამდენიმე აფრიკულ ქვეყანასთან გააჩნია: ჯიბუტთან, ერიტრეასთან, კენიასთან, სომალისთან და სუდანთან. ეთიოპიის გარშემო განლაგებულმა გეოპოლიტიკურმა განზომილებამ, პოლიტიკურ ლიტერატურაში დაიმკვიდრა თავი აფრიკის რქის რეგიონის სახელწოდებით-მშფოთვარე სპარსეთის ყურის ე.წ. უკანა ეზო-მიდამო.[1] ბოლო ორმოცდაათი წლის განმავლობაში აფრიკის რქის რეგიონი რამდენიმე შეიარაღებული კონფლიქტის, ომის, სეპარატიზმის, ამბოხებისა და გლობალური ტერორიზმის ეპიცენტრში მოექცა. საინტერესო ის არის, თუ როგორ იქცევიან ქვეყნები ასეთი ტიპის გამოწვევების საპასუხოდ.

ეთიოპიაში აღნიშნული პრობლემების სიუხვე წარმოშობს დამატებით სოციო-პოლიტიკურ განზომილებებსაც. ამათგან, გამორჩეულ მოვლენას, გამძაფრებული ეთნო-ნაციონალიზმი წარმოადგენს, რომელმაც ამბოხებულთა და ტერორისტული ორგანიზაციების პოპულარიზაციას ხელი შეუწყო. გამონაკლისი ქვეყნების გარდა, ამ ორგანიზაციებიდან წარმოშობილი საფრთხეები, როგორც სამთავრობო ერთეულების, ასევე მოქალაქეთა უსაფრთხოებას საშიშროების ქვეშ აყენებს. შეიარაღებული ამბოხის, ზოგადად, მეამბოხეობის სულისკვეთება გავრცელებულია აფრიკის მრავალ სახელმწიფოში. ისევე როგორც ეთიოპიაში, მეამბოხეთა რიცხვი, ასევე შესამჩნევია ნიგერიაში, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მეზობელ სუდანშსა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში.

[1] Robert, Rotberg. (2005) “Battling Terrorism in Horn of Africa.” The World Peace Foundation, Cambridge, Massachusetts.

რეგიონალური კონტექსტის გათვალისწინებით, ამბოხებულებსა და ტერორისტულ ჯგუფებს შორის ურთიერთობების მრავალი ფაქტი დასტურდება. მაგალითად, ნიგერიის, ერაყისა და ავღანეთის გამოცდილება ცხადყოფს, რომ ხშირად, მეამბოხეობა ე.წ გარდამავალი პროცესია ტერორისტულ ორგანიზაციად ჩამოყალიბებისთვის, რადგან ტერორიზმი წარმოადგენს ინსტრუმენტს ასიმეტრიული საომარი მოქმედების საწარმოებლად, მათთან შედარებით ძლიერ მოწინააღმდეგესთან (სახელმწიფო).[2] მიუხედავად ამისა, მრავალი მკვლევარი ეთიოპიის ცენტრალურ მთავრობასა და მეამბოხეთა შორის წარმოებულ კონფლიქტს თანაპროპორციულად აღიქვამს.[3]

[2] Scott, Stewart. (2014) "The Difference Between Terrorism and Insurgency." იხ. https://worldview.stratfor.com/article/difference-between-terrorism-and-insurgency

[3] Morten, Boas & Kevin, Dunn. (2007) "African Guerrillas: Raging Against the Machine." Lynne Rienner Publishers, Inc.

ეთიოპიის ეთნო-რელიგიური რუკა

თანამედროვე ეთიოპიაში ამბოხებისაგან და სეპარატიზმისგან გამოწვეული საფრთხეები დაკავშირებულია სახელმწიფოს ეთნო-ფედერალური სისტემის მოწყობასთან. XIX საუკუნიდან მოყოლებული, ეთიოპიაში მცხოვრები სხვადასხვა კლანები ხელიფუფლებაშიმოსვლისთვის იბრძოდნენ. ეთნიკურ ჯგუფებს შორის, კიდევ უფრო მეტად გაართულა მდგომარეობა რელიგიურმა განსხვავევებმა. ეთიოპიის ქრისტიანული ჩრდილოეთი ყოველთვის დომინირებდა სხვა პერიფერიულ სირვცეებზე, რაც ოპოზიციურად განწყობილი ხალხის რაოდენობის ზრდას იწვევდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ცენტრი, ეთიოპიაში აღიქმება, როგორც მისი ჩრდილოეთი ქრისტიანული მაღლობი, ხოლო პერიფერიული სივრცე, ყოველთვის ასოცირდებოდა ტერიტორიებთან, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას ეთიოპიელი მუსლიმები წარმოადგენენ.[4]

ეთიოპია გამორჩეულია ეთნო-რელიგიური თვალსაზრისით მრავალფეროვანი გარემოთი. ზოგჯერ, ეს მრავალფეროვნება სტაბილურობას და განვითარებას გულისხმობს, ხანდახან კი, იგი არასტაბილურობის გამოწვევის მიზეზი ხდება. 2007 წლის სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით, ეთიოპიის რელიგიური გარემო ასე გამოიყურება: მართლმადიდებელი ქრისტიანები წარმოადგენენ 43,5%-ს; ეთიოპელი მუსლიმები, დაახლოებით 34% შეადგნენ, პროტესტანტები - 18,5%-ს. მუსლიმები დომინირებენ აფარის რეგიონში (95,3%) და დირედავაში (70,8%), ხოლო სომალის რეგიონში, მოსახლეობის, თითქმის, აბსოლუტური უმრავლესობა მუსლიმია. მართლმადიდებელ ქრისტიანთა უმრავლესობა დედაქალაქში 74,7% შეადგენს, აჰმარაში - 82,5%-ს, ტიგრაიში - 95,6%-ს. [5]

რუკა.1 რელიგია ეთიოპიაში იხ.



https://bit.ly/2R0of2m

[4] Robert, Rotberg. (2005) "Battling Terrorism in Horn of Africa." The World Peace Foundation, Cambridge, Massachusetts.
[5] Jörg, Haustein. & Terje, Ostebo. (2011) "EPRDF's Revolutionary Democracy and Religious Plurality: Islam and Christianity in post-Derg Ethiopia" University of Heidelberg, Heidelberg, Germany & University of Florida, Gainesville, USA.

რუკის ეთნო-რელიგიური სივრცე ცხადყოფს გავრცელებული მოსაზრების ავთენტურობას, რომ ქვეყანაში, მუსლიმები, ცენტრისგან შორს, პერიფერიულ ზონებში ცხოვრობენ. ქრისტიანთა და მუსლიმთა შორის ამგვარი სივრცობრივი გამყოფი საზღვრები მიუთითებს იმაზე, რომ დედაქალაქი წარმოადგენს ერთგვარ საყრდენ სივრცეს, რომელიც უზრუნველყოფს არსებული პოლიტიკური რეჟიმის ძალაუფლებას. სავარაუდოა, რომ ეთიოპიაში სეპარატისტული ამბოხების არსებობა გამოწვეული იყოს ქვეყნის ტერიტორიების რელიგიური ნიშნით გადანაწილებით. ალბათ, ამით შეიძლება იყოს განპირობებული ეთიოპიაში მეამბოხე ორგანიზაციების სიმძლავრე.

ეთიოპიის ტერიტორიული მოწყობის დისბალანსი 1995 წლიდან იღებს სათავეს. ამ დროს მოხდა ქვეყნის ცხრა ეთნო-ლინგვისტურ რეგიონად დაყოფა. ამასთან ერთად, მკაცრად შეიზღუდა დეცენტალიზება და თვითგამორკვევის უფლება. სწორედ ამ პერიოდში, ნაციონალიზმმა სრულიად ახალი ნიშნები შეიძინა. ეთიოპიაში ნაციონალიზმის ჩამოყალიბების მიზეზის დადგენაში, პოლ ჰეინზმა, შედარებითი ანალიზის მეთოდი გამოიყენა. მისი აზრით, ეთიოპიასა და ირანს ერთმანეთთან ბევრი საერთო აქვთ. ორივე მათგანს გააჩნია ისტორიული ამბიცია, რომ უნიკალურ ხალხს წარმოადგენენ; ორივე ქვეყანაში ნაციონალიზმი რთული და მრავალწახნაგოვანი მოვლენაა; ორივე სახელმწიფოსთვის ისტორიულ პრაქტიკას წარმოადგენს ცენტრის მხრიდან პერიფერიებზე დომინირების ტრადიცია.[6]

ცენტრსა და პერიფერიას შორის შეირაღებული კონფლიქტის პირველ სტადიაზე სახელმწიფო სტრუქტურები გეგმავენ ახალ კამპანიას - თუ რა მეთოდით გაუმკლავდნენ ამბოხების და ტერორიზმის სახით მომდინარე საფრთხეებს. ამ კუთხით, ეთიოპია უდავოდ განსხვავებულია და წარმოადგენს გამონაკლისს მსგავსი კონტრკაპმანიის შემუშავების მოდელის გამო.

[6] Paul, Heinz. (1985) “Rebels and Separatists in Ethiopia.” Rand Corporation.

ეთიოპია და მსოფლიო ტერორიზმის წინააღმდეგ

ეთიოპია მსოფლიოს ერთ-ერთ ღარიბ ქვეყანას წარმოადგენს. ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებული ერთობლივი შიდა პროდუქტის რაოდენობა მხოლოდ 100 დოლარს შეადგენს. მოსახლეობის ნახევარს ჯანდაცვის მინიმალურ მომსახურებაზე აქვს წვდომა. სუფთა წყლით სარგებლობა მხოლოდ მეოთხედს შეუძლია. ქვეყანაში კორუფციის დონე საკმაოდ მაღალია. 2004 წლის მონაცემებზე დაყდნობით, იგი 145 ქვეყნიდან 114-ე ადგილს იკავებს კორუფციის დონით.[7] მიუხედავად ამ უარყოფითი მაჩვენებლებისა, ეთიოპია საკუთარი სამხედრო პოტენციალის განვითარებას არ აჩერებს, რადგან ე.წ. „ტერორიზმთან მებრძოლი“ სახელმწიფოს სტატუსი მას გარანტიას უქმნის დიდძალი საგარეო დაფინანსების მიღებისთვის.

ჯერ კიდევ ჯორჯ უ. ბუშის ადმინისტრაციის პერიოდში, ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური საგარეო პოლიტიკა ღიად უჭერდა მხარს ეთიოპიას, როგორც წარმატებული კონტრტერორისტული პრაქტიკის მქონე ქვეყანას. საპასუხოდ, ეთიოპიის ცენტრალური მთავრობა აშშ-ს პარტნიორ ქვეყნად მოიაზრებოდა. ამის დასტურია ადის-აბებაში დონალდ რამსფელდის ვიზიტი, როდესაც ეთიოპიის პრემიერ მინისტრი, მელეს ზენავი, მას „ყველა შესაძლო გზებით ტერორიზმთან ბრძოლას და თანამშრომლობას“[8] დაპირდა.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ აშშ-ს მთავარი კონტრტერორისტული ოპერაციების გადამზადების ბაზა მდებარეობს ეთიოპიის მეზობელ სახელმწიფო ჯიბუტში. CJTF-HOA მისია, რომელიც 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული თავდასხმის შემდეგ შეიქმნა, გულისხმობს აფრიკის რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ხელშეწყობას. ამ მისიის წყალობით, ეთიოპიის ქვეითი ჯარების გადამზადება და ტერორიზმთან ბრძოლის ტაქტიკური პროგრამების დანერგვა განხორციელდა. გადამზადების პროგრამები ეთიოპიის ტერიტორიაზეც -, აშშ-ს დროებით სამწვრთნელო ბაზაზე, სომალის რეგიონის ქალაქ ჰურზოში ტარდებოდა. გადამზადების მთავარი მიზანი იყო წარმოედგინა გაუმჯობესებული და მოქნილი კონტრტერორისტული კამპანიის სტრატეგია.[9]

ეთიოპია აშშ-სგან ფინანსდება - EACTI-ს პროგრამის მიერ. ინიციატივა 2003 წელს დაიწყო, რომელიც ასევე უზრუნველყოფდა დამატებით სასაზღვრო ერთეულების გადამზადებას და სპეციალური საპოლიციო დაჯგუფების ფორმირებას.[10] მსგავსი ტიპის საპოლიციო გადამზადების მთავარ ამოცანას სომალის რეგიონში შეიარაღებული ამბოხების ლიკვიდირება წარმოადგენდა.

[7] Robert, Rotberg. (2005) “Battling Terrorism in Horn of Africa.” The World Peace Foundation, Cambridge, Massachusetts.
[8] იხ. https://www.voanews.com/archive/rumsfeld-thanks-horn-africa-leaders-support-war-terrorism
[9] Robert, Rotberg. (2005) “Battling Terrorism in Horn of Africa.” The World Peace Foundation, Cambridge, Massachusetts.
[10] Robert, Rotberg. (2005) “Battling Terrorism in Horn of Africa.” The World Peace Foundation, Cambridge, Massachusetts.

ერიტრეა

1890 წელს, ეთიოპია პირველად აღმოჩნდა დასავლური იმპერიალიზმის პირისპირ. ეს წელი, ასევე, ცნობილია იმით, რომ შეიქმნა სახელმწიფო წითელი ზღვის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე, რომელსაც ერიტრეა ეწოდება. ერიტრეა ეთიოპიას სამხრეთით ესაზღვრება. იგი იტალიის სამეფოს პირველ კოლონიას წარმოადგენდა და მასზე ბატონობა 1941 წლამდე გრძელდებოდა. 1947 წელს ერიტრეაზე პასუხისმგებლობა დიდმა ბრიტანეთმა აიღო. გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული კუთხით, ერიტრეა ეთიოპიის მინიატურულ მოდელს წარმოადგენს.[11]ერიტრეასა და ეთიოპიას შორის არსებული კონფლიქტი დღესაც აქტიურ ფაზაშია. სახელმწიფოებს შორის დაპირპირების ძირითად მიზეზს ოპოზიციურად განწყობილი მოძრაობების დაფინანსება წარმოადგენდა. ერიტრეის მხარე ეთიოპიის მმართველი პარტიის წინააღმდეგ მოღვაწე ორგანიზაციებისთვის საუკეთესო თავშესაფარი იყო, ხოლო ერიტრეაში არსებული ანტი-სამთავრობო ძალები, მრავალი წლის განმავლობაში, ეთიოპიისგან იყვნენ მხარდაჭერილები. დაპირისპირების მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ერიტრეას ადანაშაულებენ ამბოხებულებთან პარტნიორობასა და სხვა ოპოზიციურად განწყობილი დაჯგუფებების დაფინანსებაში. მაგალითისთვის, ერიტრეა მხარს უჭერდა ორომოს მებრძოლებს სამხრეთ ეთიოპიაში და განმანთავისუფლებელ მოძრაობას სუდანში. ხსნებული ფაქტი მეტყველებს პრობლემის მრავალგანზომილებიან ხასიათზე, რადგან ერთი სახელმწიფოსგან დაფინანსებული ოპოზიციური ჯგუფები მეორეში, ხშირად, შეირაღებულ მეამბოხე ორგანიზაციებად გარდაიქმნებიან.[12]

ერიტრეაში პირველი ამბოხი 1952 წელს, აფრიკის პოსტ-კოლონიურ ხანაში დაიწყო, როდესაც ეთიოპიის იმპერატორმა ჰაილე სელასიე I-მა, ერიტრეა ეთიოპიის შემადგენლობაში შეიყვანა. ამან მოსახლეობის დიდი ნაწილის გაღიზიანება გამოიწვია, რადგან ერიტრეა, განვითარების კუთხით, ეთიოპიაზე მოწინავე იყო. 1993 წლამდე ერიტრეა ეთიოპიის შემადგენლობაში რჩებოდა. მისი დაპყრობიდან 40 წლის შემდეგ, მან დამოუკიდებლობა მოიპოვა, რასაც მოსახლეობის, თითქმის 100%-მა მხარი დაუჭირა. თუმცა, ქვეყნებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობა დიდხანს არ გაგრძელებულა და 1998 წელს, ეთიოპიასა და ერიტრეას შორის სამხედრო კონფლიქტი დაიწყო, რომელსაც ათეულობით ათასი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. მშვიდობა მხოლოდ 20 წლის შემდეგ იქნა მიღწეული.[13]

[11] Paul, Heinz. (1985) “Rebels and Separatists in Ethiopia.” Rand Corporation.
[12] Ibid.
[13] იხ. https://www.bbc.com/news/world-africa-46794296

ეთიოპიის სომალის რეგიონი

სომალის რეგიონი ეთიოპიის ფედერალური რესპუბლიკის ნაწილია. რეგიონის ისტორიული სახელი ოგადენია. ეს სახელწოდება ოფიციალურად არ გამოიყენება, რადგან იგი მხოლოდ რეგიონის გეოგრაფიულ ექსპრესიას წარმოადგენს.[14] სომალის რეგიონში, რომელიც მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, ხუთ მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს. რეგიონში არის ოთხი მდინარე, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო ირიგაციისთვის გამოიყენება. აქ სოფლის მეურნეობა უძველესი დროიდან პრიორიტეტულ დარგად ითვლება. მოიპოვება ბუნებრივი აირი, ოქრო და მარილი. რეგიონი, ასევე, დატვირთულია ტრანზიტის ფუნქციით, რომელიც უმნიშვნელოვანესია ეთიოპიის საექსპორტო და საიმპორტო პოლიტიკისთვის.[15]

ეთიოპიის ცენტრალური სტატისტიკის სააგენტოს ინფორმაციით, სომალის რეგიონში მოსახლეობის 95,6 % ეთნიკური სომალელია.[16] ოგადენის გეოგრაფიულ სივრცეში დომინანტურ რელიგიას ისლამი წარმოადგენს. რეგიონის მაცხოვრებლები, უმეტეს წილად, ოგადენის კლანს მიეკუთვნებიან, რომელიც ეთიოპიაში, სიდიდით მესამე ან მეოთხე ეთნიკური ჯგუფია.[17] მოსახლეობის ზრდა მაღალი ტემპებით მიმდინარეობს.

სომალის რეგიონი მრავალი კონფლიქტის ეპიცენტში იყო მოქცეული. 1977-78 წლებში იქ მიმდინარეობდა მასშტაბური საომარი მოქმედებები, რომელიც აფრიკის ისტორიაში, ოგადენის ომის სახელწოდებითაა ცნობილი. ოგადენის ომი, ეთიოპიასა და სომალს შორის, ტერიტორიული დავის მიზეზით დაიწყო. ქვეყნებს შორის კონფლიქტის წარმოქმნას რამდენიმე ისტორიულ-პოლიტიკურმა გარემოებამ შეუწყო ხელი: 1) აფრიკის რქის რეგიონში საგარეო ინტერვენციამ; 2) ეთიოპიისა და სომალის სასაზღვრო ზოლში გახშირებულმა ამბოხმა. ქვეყნებს შორის უკანასკნელი კონფლიქტის პერიოდიდან ვითარება დღემდე დაძაბული რჩება, ხოლო ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი - გადაუჭრელი.[18]

ცივი ომის პერიოდში, სომალის რეგიონმა, კვლავ მიიქცია გლობალური საჭადრაკო დაფის მონაწილეების ყურადღება. ამ პერიოდში აფრიკის რქის მიმართ ინტერესი შესამჩნევად გაიზარდა.[19] აქტიურ ფაზაში გადავიდა ბრძოლა რეგიონში გეოპოლიტიკური გავლენების მოსაპოვებლად. (იხ. რუკა 2.)

[14] Paul, Heinz. (1985) "Rebels and Separatists in Ethiopia." Rand Corporation.
[15] იხ. https://hornaffairs.com/2016/11/22/defending-ethnic-federalism-ethiopia/
[16] CHF International (2006) „Grassroots Conflict Assessment of the Somali Region, Ethiopia "
[17] იხ. https://hornaffairs.com/2016/11/22/defending-ethnic-federalism-ethiopia/
[18] Joseph, Nkaisserry. (1997)"The Ogaden War: An Analysis of its cause and impact on regional peace on the Horn of Africa." US Army College, Pennsylvania, Carlisle Barracks.
[19] Ibid.

რუკა 2. ოგადენი. იხ.

https://bit.ly/2X0cH36

რეგიონში, ამბოხის აღზევება, ოგადენის ომის პერიოდიდან იღებს სათავეს. 70-იან წლებში, ეთიოპიის მეზობელი, სომალის სახელმწიფო აქტიურად იწყებს ორი ამბოხებული ჯგუფის Somali Abo Liberation Front-ისა და The Western Liberation Front-ის მხარდაჭერას. პირველი დაჯგუფება წარმოადგენდა ეთნო-ნაციონალისტურ გაერთიანებას, რომელიც ეთიოპიის მთავრობის წინააღმდეგ იბრძოდა. მეორე ორგანიზაციაც, ანალოგიურად იზიარებდა წინამორბედის ხედვებს და მიისწრაფვოდა სომალის რეგიონის დამოუკიდებლობისთვის. 1977 წელს, ამბოხებულების დახმარებით სომალის სახელწიფო ოგადენში შეიჭრა, რომელიც მიზნად ისახავდა „დიდი სომალის“[20] ნაციონალური გეგმის სისრულეში მოყვანას.[21] ომის შედეგები კატასტროფულად აისახა ორივე ქვეყნის განვითარებაზე. სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მხოლოდ ეთიოპიაში, რეგისტრირებულმა ლოტლვოლთა რაოდენობამ 628,526 ადამიანი შეადგინა.[22]

2002 წელს, ეთიოპიაში არსებულმა მეამბოხე დაჯგუფებამ, ორომოს განმათავისუფლებელმა ფრონტმა (OLF) დირე ვარას სადგურზე განახორციელა ტერორისტული შეტევა. იმავე წელს, დედაქალაქის ტიგრაის სასტუმროზე შტურმი მიიტანა, რომლის დროსაც დაიღუპნენ ადგილობრივი მაცხოვრებლები. უკანასკნელ წლებში, მეოამბოხეებმა სახელი გაითქვეს გაცილებით მასშტაბური იერიშით - ეთიო-ჯიბუტის

[20]პოლიტიკური ტერმინი, რომელიც გამოიყენება ყველა მკვიდრი სომალელის სავარაუდო გაერთიანებული სახელმწიფოს მიმართ, რომელშიც შევა ბრიტანეთის, იტალიის (დღეისათვის — სომალი), საფრანგეთის (დღეისათვის — ჯიბუტი), ეთიოპიის სომალი (ოგადენი), ასევე, კენიის ჩრდილო-აღმოსავლეთი პროვინცია. დიდი სომალის შექმნის ადრე არსებული პერსპექტივები (კერძოდ, ოგადენის აქტიურ სეპარატიზმთან დაკავშირებით) დღეისათვის აღარ არსებობს სომალის სახელმწიფოს დეზინტეგრაციის გამო.

[21] Gebru, Tareke. (2000) „The Ethiopia-Somalia War of 1977 Revisited.“ International Journal of African Historical Studies, Vol. 33.

[22] იხ. https://www.unhcr.org/55152c699.pdf

რკინიგზის აფეთქებით.[23] OLF თავს ტერორისტულ ორგანიზაციად არ აღიარებდა, თუმცა, მიუხედავად ამისა, მას ტერორისტული ორგანიზაციის სტატუსი მიენიჭა.[24] ანალოგიური პარალელის გავლება შეიძლება ოგადენის განმათავისუფლებელ ფრონტთან (ONLF), რომელმაც 2007 წელს, საერთაშორისო მნიშვნელობის ტერორისტული აქტი განახორციელა. სომალის რეგიონში არსებულ ჩინეთის ნავთობგადამამუშავებელ კომპლექსზე შეტევის დროს ჩინეთის 9 და ეთიოპიის 65 მოქალაქე გარდაიცვალა.[25] მეამბოხეების საპასუხოდ, ეთიოპიის ეროვნულმა თავდაცვამ წარმატებული სადამსჯელო ოპერაცია ჩაატარა. ამ ფაქტის შესახებ ბევრი ჟურნალისტი იუწყება, რომ ეთიოპიის მთავრობამ ამბოხებულთა წინააღმდეგ შესამჩნევი არაპროპორციული ძალა გამოიყენა.[26]

[23]Robert, Rotberg. (2005) "Battling Terrorism in Horn of Africa." The World Peace Foundation, Cambridge, Massachusetts.
[24] იხ. https://www.globalsecurity.org/military/world/para/olf.htm
[25] Anita, Powell. (2007) "Ethnic Somali rebels kill 74 at Chinese oilfield in Ethiopia" available at: www.guardian.com
[26] Joseph, Nkaisserry. (1997)"The Ogaden War: An Analysis of its cause and impact on regional peace on the Horn of Africa." US Army College, Pennsylvania, Carlisle Barracks.

ოგადენის განმათავისუფლებელი ფრონტი

უკანასკნელ წლებში, ოგადენში ყველაზე აქტიურ და შესამჩნევ მეამბოხე ტერორისტულ დაჯგუფებას ოგადენის განმათავისუფლებელი ფრონტი (ONLF) წარმოადგენდა. ორგანიზაცია 1984 წელს, ეთნიკური სომალელების მიერ დაარსდა. დაარსების დღიდან, ONLF მიზნად ისახავს ოგადენისთვის თვითგამორკვევის უფლების მინიჭებას. ამბოხებულები ხელისფლებას ადანაშაულებდნენ ეთნიკური სომალელების უფლებების დარღვევასა და მათ მიმართ არასამართლიან მოპყრობაში.

დერგის კომუნისტური მთავრობის დამხობის შემდეგ, ONLF-ი მეამბოხეობიდან პოლიტიკურ საქმიანობაზე გადადის. EPRDF-ის ეთნიკურმა, ფედერალურმა სისტემამ ორგანიზაციას მისცა საშუალება რეგიონალურ არჩევნებში მიეღო მონაწილეობა. სომალის რეგიონის მმართველი პარტია ONLF-ი გახდა.[27] 1992 წლის დეკემბერში, მათ რეგიონალურ პარლამენტში ხმების 87%-ის მოიპოვება შეძლეს.[28] სამწუხაროდ, კოჰაბიტაციის პროცესი დიდხანს არ გაგრძელებულა. 1993 წელს ONLF-ი აყენებს დამოუკიდებლობის მოთხოვნის წინადადებას, რომელიც ცენტრალური მთავრობის მიერ მყისიერად იქნა უარყოფილი. საპასუხოდ, ONLF-მა დატოვა გარდამავალი მთავრობის შემადგენლობა და გააგრძელა შეიარაღებული ამბოხი. 1994 წლიდან იგი აქტიურ საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა ეთიოპიის მთავრობასთან. მისი შემდგომი საქმიანობა დაკავშირებულია მრავალ ადგილობრივ და საერთაშორისოდ გახმაურებულ ფაქტთან. გამოიკვეთა ვარაუდიც, რომ ONLF-მა დაამყარა მჭიდრო კავშირები სომალის სახელმწიფოში მოქმედ ტერორისტულ ორგანიზაციასთან Al-Ittihad al-Islami-სთან (AIAI). [29]

[27] იხ. www.unpo.org
[28] იხ. http://www.winne.com/specialsections/2007/jonathan_alpeyrie/index.php
[29] იხ. https://www.refworld.org/docid/3ae6a8af24.html

ტერორიზმის გავლენა ოგადენში

AIAI-ს მთავარ ამოცანას სომალელებით დასახლებულ ტერიტორიებზე ისლამური სახელმწიფოს დაარსება წარმოადგენდა. 1996 წელს AIAI პასუხისმგებელი იყო ეთიოპიაში სხვადასხვა ტერორისტული შეტევების განხორციელებაზე და მრავალი ადამიანის გატაცებაზე.[30] ასევე, AIAI-ის მოქმედებების საპასუხოდ ცენტრალურმა მთავრობამ განახორციელა მასშტაბური კონტრტერორისტული კამპანია, რომელიც წარმატებული აღმოჩნდა, რასაც მათი მნიშვნელოვნად შესუსტება მოჰყვა ეთიოპიის ტერიტორიაზე. თითქმის განადგურებული ორგანიზაცია შემდგომში გაერთიანდა ისლამური სასამართლოების უზენაეს საბჭოსთან (SCIC), რომლებიც 2006 წლამდე, სამხრეთ სომალის აკონტროლებდა. დადგინდა SCIC-ის კავშირები ალ-შაბაბთან. ტერორისტული ორგანიზაციების გავლენების უპრეცენდენტო გაფართოებამ ეთიოპიის უსაფრთხოება სერიოზული რისკის ქვეშ დააყენა. ამავდროულად, SCIC-მა ONLF-თან კავშირები დაამყარა.[31] ეთიოპიის მთავრობა მის აღმოსავლეთ ნაწილში არსებული ამბოხის დასამარცხებლად იწყებს ახალ კონტრტერორისტულ კამპანიას, რადგან მეამბოხეთა და ტერორისტთა განსხვავება მინიმუმამდე დავიდა.

მეამბოხე ONLF-მა, ტერორისტული ორგანიზაციების მსგავსად, საკუთარი მოთხოვნების ღიად გასაჯაროება დაიწყო. მათი ოფიციციალური დეკლარაციის მიხედვით, რომელიც ყველასთვის ხელმისაწვდომ ინფორმაციას წარმოადგენს, ეთიოპია კოლონიზატორ სახელმწიფოდ არის წარმოდგენილი. მათი მტკიცებით, ეთიოპიამ ძალისმიერი და არაადამიანური მეთოდებით დაიპყრო სომალის რეგიონი. მეამბოხეთა დეკლარაციაში საუბარია, რომ ეთიოპიის ცენტრალური მთავრობა ოგადენის მკვიდრთა უფლებებს სისტემატიურად არღვევს, ხშირად ორგანიზაციის წევრების ოჯახებისა და ნათესავების ფიზიკურ ლიკვიდაციას ახდენს. ბრალდებების სიმძიმე ნათლად გამოხატავს ONLF-ის მისწრაფებების ძირითად მამოძრავებელ მოტივს - „რაც შეიძლება მალე, თუნდაც, ტერორისტული სტრატეგიის საშუალებით, დასახული მიზნის მიღწევას და ცენტრალური მთავრობის ჩამოშორებას“. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ONLF-ი რელიგიური თავისუფლების იდეას ემხრობა და ოგადენის მკვიდრთა უფლებების ხელშეუხებლობას მნიშვნელოვნად მიიჩნევს[32]

ONLF-ის გასაჯაროებული პროგრამის სტრატეგიამ ფედერალური მთავრობის ყურადღება მიიპყრო. ამის საპასუხოდ, 2009 წელს ეთიოპიის პარლამენტი იღებს კანონს ტერორიზმის შესახებ. 2010 წელს, ONLF-ს ტერორისტული ორგანიზაციის სახელი მიენიჭა და გაიგივდა ალ-შაბაბთან და ალ-ქაიდასთან.[33] ეთიოპიაში, კანონის ამოქმედებიდან რამდენიმე წლის მანძილზე მრავალ ადამიანს ტერორისტის სტატუსი მიენიჭა.[34]

ეთიოპიის კონტრტერორისტული კამპანია ახალ განზომილებებს იძენს - ყოველი შესაძლო მეთოდით მეამბოხეთა განადგურება.

---

[30] იხ. https://fas.org/irp/world/para/ogadin.htm
[31] Kidist, Mulugeta. (2014) “The Role of Regional Powers in the Field of Peace and Security.” Friedrich-Ebert-Stiftung.
[32]იხ. http://onlf.org/
[33]იხ. https://www.refworld.org/docid/508faf7f2.html
[34]იხ. https://www.oaklandinstitute.org/sites/oaklandinstitute.org/files/OI_Ethiopia_Legal_Brief_final_web.pdf

სპეციალური საპოლიციო შენაერთი - ლიუ

ეთიოპიას უსაფრთხოების ძლიერი ორგანოები გააჩნია. ისინი დერგის წინააღმდეგ მებრძოლი და გამოცდილი პერსონალისგან შედგება, რომლებიც ვეტერანის სტატუსით სარგებლობენ. მათი სამოქმედო ტაქტიკა სასტიკ მეთოდებს ეყრდნობა, რომელიც საწინდარია წარმატებული კონტრტერორისტული ოპერაციისა. სისხლიანი ისტორიული გამოცდილებისა და საგარეო გადამზადების პროგრამების წყალობით, ეთიოპიის უსაფრთხოება ჩამოყალიბდა ქვეყნის დომინანტ მიმართულებად. ამიტომაც, ეთიოპია, განსხვავებით მისი მეზობელი სახელმწიფოებისაგან, ექსტრემისტული დაჯგუფებებისთვის, ერთ-ერთ რთულ სამიზნედ იქცა.[35]

ეთიოპიის კონტრტერორისტული კამპანიის ეფექტიანობა ეყრდნობა რამდენიმე ძირითად გარემოებას: 1)ეთიოპიის სამხედრო პოტენციალი ქმნის გარანტიას წარმატებული ოპერაციების დაგეგვისათვისმაში; 2)ეთიოპიას ტერორიზმთან და ამბოხებასთან ბრძოლის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. 3)უსაფთხოების სტრუქტურების კვალიფიკაციის მაღალი მაჩვნებელი. ამ უკანსკნელის ნიადაგზე, ჩამოყალიბდა სამთავრობო პოლიციური ერთეული (LIYU POLICE), რომელიც ცენტრალური მთავრობის სახელმწიფო ტერორიზმის მთავარ ინსტრუმენტს წარმოადეგნს. პოლიციური დაჯგუფება 2007 წელს დაარსდა ONLF-ის მიერ ჩინურ ნავთობ კომპანიაზე თავდახსმის საპასუხოდ. სანამ ლიუს პოლიცია დაარსდებოდა, კონტრტერორისტულ ოპერაციებს, თავდაპირველად, ხელმძღვანელობდნენ ეთიოპიის თავდაცვის ეროვნული ძალები. დროთა განმავლობაში, უფლებამოსილება ლიუს გადაეცა. კერძოდ, პოლიციის სამიზნე ჯგუფები გახდნენ ONLF, OLF და Ginbot 7.

სურათი1. ლიუს პოლიციის შენაერთი ოგადენის რეგიონში. იხ.

https://bit.ly/2V6LUzF

[35]იხ. https://www.usip.org/?site_keywords=terrorism%20in%20horn

პოლიციის წევრები ოგადენის მაცხოვრებლები არიან, რომლებიც პირდაპირი წესით დაქირავებულნი არიან სომალის რეგიონის მცირე ადმინისტრაციული ოლქებიდან. ადგილობრივების დაქირავების მიზეზის დადგენა რთული არ არის, რადგან სომალის რეგიონის ლანდშაფტი, კულტურა და ენა, მხოლოდ ოგადენის კლანის წარმომადგენლებისთვის არის ცნობადი. ლიუს პოლიციელები უდაბნოს შეფერილობის სამხედრო უნიფორმებში არიან გამოწყობილნი. სომალის დედაქალაქში, ჯიჯიგაში, პოლიციელები მუდამ პატრულირებენ ქალაქის ქუჩებში. მათი შეიარაღებაც ჩვეულებრივი პოლიციისგან საგრძნობლად გამოირჩევა. ისინი აღჭურვილნი არიან ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებით, ტყვიამფრქვევებითა და სხვადასხვა ტიპის სამხედრო ინვენტარით.

ნორვეგიულმა საინფორმაციო-კვლევითმა ცენტრმა Landinfo-მ გამოავლინა გარემოება, რომ პოლიციელები ადგილობრივ მოსახლეობასთან მჭიდროდ თანამშრომლობენ. ასეთი მიდგომა მნიშვნელოვნად აადვილებს მათ წარმატებას ინფორმაციის სწრაფად მოპოვების თვალსაზრისით. ვარაუდი გამოითქვა იმის შესახებ, რომ 2014 წელს, ლიუს პოლიციის რაოდენობა 15 ათასი წევრისგან შედგებოდა. დღევანდელი მონაცემებით, იგი 42 ათას წევრს აერთიანებს, თუმცა, მონაცემების სანდოობა ვერ დგინდება. იკვეთება ტენდენცია, რომ შეიძლება, პოლიციელების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდოს.[36]

ლიუს პოლიციის საქმიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ტერორიზმთან და ამბოხთან ასიმეტრიული ომის წარმოებით. პოლიცია რეგიონალურ საზღვრებსაც უწევს კონტროლს. გავრცელდა ინფორმაცია, რომ პოლიცია სომალის რეგიონში ზედმეტი ძალაუფლებით სარგებლობს. Landinfo-ს მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, სომალის რეგიონში ლიუს პოლიციას გაცილებით მეტი ავტორიტეტი და ძალაუფლება გააჩნია, ვიდრე ადგილობრივი უსაფრთხოების ორგანოებს. [37]

„ლიუს პოლიცია აფრიკის რქის რეგიონის რეგიონალური უსაფთხოების გარანტია“ - ამის შესახებ წერს ცენტრალურ მთავრობასთან დაკავშირებული მასმედია. ეთიოპიის ერთ-ერთ გამომცემლობაზე დაყდნობით, ლიუს პოლიციელები, გამოირჩევიან საკუთარი პიროვნული თვისებებითაც და აქტიურად ერთვებიან საზოგადოებრივი კეთილდღეობის სხვადასხვა პროგრამაში. ასევე, იღებენ მონიწილეობას გზების რეკონსტრუქციის პროექტებში და სასმელი წყლის მოსახლეობისთვის მიწოდებაში.[38]

Human Rights Watch-ის 2017 წლის ანგარიშში, სომალის რეგიონის სპეციალური საპოლიციო შენაერთის საქმიანობა დაკავშირებულია არაერთ საერთაშორისო გახმაურებულ ფაქტთან. 2016 წლის 5 ივლისს, სომალის რეგიონის ერთ-ერთ სოფელში, ლიუს პოლიციის სროლის შედეგად 27 ადგლიობრივი მოსახლე გარდაიცვალა. ამასთან ერთად, დადგინდა, რომ პოლიციელებმა სოფლის მაცხოვრებელთა სახლები და მაღაზიები გაძარცვეს. Human Rights Watch-ის აფრიკის რეგიონის მკვლევრის, ფელიქს ჰორნის განცხადებით, მკვლელობებზე პასუხიმგებლობა არავის დაკისრებია, ხოლო ცენტრალური მთავრობის მხრიდან მომხდარ ფაქტზე გამოხმაურებაც არ ყოფილა. [39]

სომალის რეგიონის ლიუს პოლიცია კვლავ აქტიურად განაგრძნობს კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს, რაც დაკავშირებულია ეთიოპიის აღმოსავლეთ ნაწილში მაცხოვრებელების მკვლელობასთან. Amnesty International-ის განცხადების საფუძველზე, ეთიოპიის

[36] Landifno. (2016) Ethiopia: The special police (Liyu Police) in the Somali Regional State.
[37] Ibid.
[38] Abdirahman, Alale. (2017) “The Somali State Special Police Forces (Liyu Police) Are Gallant.” იხ. www.tigraionline.com
[39]“Ethiopia: No Justice in Somali Region Killings” (2016). იხ. www.hrw.org

ცენტრალურმა ხელისუფლებამ დაუყონებლივ უნდა შეწყვიტოს ლიუს პოლიციის დანაყოფის ფუნქციონირება, რათა მოხდეს მათი ჩანაცვლება ჩვეულებრივი პოლიციით, რათა წევრებს აღარ ჰქონდეთ საშუალება განაგრძნონ მოსახლეობაზე ძალადობრივი ქმედებები.[40] აღსანიშნავია, რომ ეთიოპიის ცენტრალური ხელისუფლება კვლავ განაგრძნობს სახელმწიფოსგან სანქცირებულ ტერორს პერიფერიაში მცხოვრები მოსახლეობის მიმართ.

[40]"Ethiopia: Police unit unlawfully killing people must be stopped" (2018) იხ. https://www.amnesty.org

დასკვნა

თითქმის, მთელი ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში, ეთიოპიის ცენტრალური ხელისუფლება ძალაუფლებას ცენტრალიზებული პოლიტიკით ინარჩუნებდა. ანტი-ტერორისტული კანონის მეშვეობით მმართველი პარტია ოპოზიციურად განწყობილ პარტიებსა და მოქალაქეებს დევნიდა მათი ტერორიზმთან კავშირის მიზეზით. კანონის მიღებით ხელისუფლებამ შეიმუშავა ხანგძლივ პერიოდზე გათვლილი პროექტი, რომელიც მათი ძალაუფლებაში დარჩენის გარანტიად იქცა. თანამედროვე დემოკრატიული სისტემები, მინიმალურად მაინც აკმაყოფილებენ მოქალაქეებისადმი გაცემულ დაპირებას, რომელიც კანონის უზენაესობითა და არჩევნებში მონაწილეობის უფლებით არის უზრუნველყოფილი. ეთიოპიაში მიმდინარე „გარდამავალი პერიოდი“ არ გულისხმობს მარგინალიზირებული ჯფუგების მიმართ ერთნაირი პოლიტიკის გატარებას. ამ ჯგუფების მიმართ უპატივცემულობამ და ხშირად, არაადამიანურმა მოპყრობამ, წარმოქმნა უფსკრული ეთიოპიის ცენტრსა და პერიფერიას შორის, რაც საბოლოოდ, აგრესიული ნაციონალიზმის წარმოშობის საფუძველი აღმოჩნდა.

ერთ-ერთი მწვავე პრობლემა, ეთიოპიის კონტრტერორისტულ კამპანიაში, ტერორის დანერგვისას გამოყენებული მეთოდია. ძალაუფლების ვერტიკალიზაციამ ხელი შეუწყო ქვეყანაში ისეთი პოლიტიკური რეჟიმის ჩამოაყალიბებას, რომელმაც დომინანტური ეთნოსის მიერ, ქვეყნის სტრატეგიული ობიექტების დაუფლება და მათი შემოსავლის წყაროდ გადაქცევა გამოიწვია. მმართველობის ისეთი სისტემის არსებობა, რაც აფრიკის, ლათინური ამერიკისა და აზიის ზოგიერთი ქვეყნისთვის არის დამახასიათებელი, ხელს უწყობს ცენტრსა და პერიფერიულ სივრცეებს შორის „ხელოვნური საზღვრების“ წარმოქმნას და სახელმწიფო ტერორიზმის გაღვივების პროცესის განვითარებას.

ეთიოპიის მიერ ექსტრემიზმთან მებრძოლი სახელმწიფოს როლი პირდაპირ დამოკიდებულია მის რეგიონალურ ჰეგემონიასთან. გეო პოლიტიკური პოზიციონირებით, მან მრავალი მოკავშირე შეიძინა, რომლებიც დღემდე ქვეყანაში სხვადასხვა სახის დახმარების პროგრამებს ახორციელებენ. მშვიდობისა და კეთილდღეობის სახელით, ეთიოპიის სამხედრო რესურსი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ქვეყნის უსაფრთხოების სტრუქტურების ხარისხისა და შეიარაღების ამაღლება, არამხოლოდ სახელმწიფოს საგარეო ამოცანების შენარჩუნებისკენ არის მიმართული, არამედ - მის შიგნით არსებული, ოპოზიციურად განწყობილი დაჯგუფებების დასათრგუნად. ყოველივე ზემოთ აღნიშული ადასტურებს იმას, რომ ეთიოპიის კონტრტერორისტული მოდელი წარმატებულად არ შეიძლება შევაფასოთ, რადგან მისი განხორციელების მეთოდები ეფუძნება ტოტალური ტერორის განხორციელებას სახელმწიფოს რესურსების გამოყენებით.